ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

30 აპრილი 2025

N149966

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს E-2010“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს „E-2010“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 448381992) (შემდგომში - სუბიექტი) მიერ, 2024 წლის 26 ივლისს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის (შემდგომში - სამსახური) ანგარიშგების პორტალის (www.reportal.ge) მეშვეობით წარდგენილ იქნა, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - ანგარიშგება). სუბიექტის მიერ ანგარიშგების ვებგვერდზე მითითებული და სამსახურში დაცული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის იგი წარმოადგენდა III (მესამე) ზომითი კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS). კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამსახური უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

სამსახურმა, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რისკზე დაფუძნებული მიდგომით მოახდინა სუბიექტის მიერ ანგარიშგების

პორტალზე წარმოდგენილი ზემოხსენებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დადგენილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში - მსს ფასს სტანდარტი) მიმართებით და საბოლოოდ გამოავლინა შემდეგი დარღვევა:

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებით მუხლებთან მიმართებით არ არის წარმოდგენილი მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რაც გულისხმობს მათ შესახებ სიტყვიერ დახასიათების, ან დეტალიზებული მონაცემების გამჟღავნებას, მსს ფასს სტანდარტის მე-3 განყოფილების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული ანგარიშგება შეუსაბამობაშია მსს ფასს სტანდარტის მე-3 განყოფილებასთან, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება. სუბიექტის მიერ ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება.

კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის 2025 წლის პირველი აპრილის N25622-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.

2. სუბიექტს დაევალოს წარმოების შედეგების გათვალისწინება მიმოხილული და მომდევნო წლ(ებ)ის საანგარიშგებო პერიოდებთან მიმართებით.

3. ბრძანება გაეგზავნოს სუბიექტს.

4. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური